ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 111

ქ.თბილისი/დ.ბედიანი „26" „ დეკემბერი", 2017 წელი

ერთი მხრივ **შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი"** ს/კ 243123455 (შემდგომში -„შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის **ავთანდილ ვანაძის** და მეორეს მხრივ „ეს, ოქეი" ს/ს 211334830 (შემდგომში _ მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნინო კბილაშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს ბრძანება №13-ის მე-2 მუხლის „ა" პუნქტის საფუძველზე და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი და ობიექტი**

1.1 ხელშეკრულების საგანია საბუღალტერო სახსრებით ~~(პროგრამული დაფინანსება)~~
CPV კოდი 72324100
შემდეგი დეფექტი ნოტის
საქონელი/მომსახურება შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით მონეტარული ზღვრის დაცვით.

1.2 ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, რაოდენობა და ერთეულის ფასები აისახება ხელშეკრულების შესრულების დოკუმენტებში (მიღება-ჩაბარება, სასაქონლო ზედნადები/ანგარიშ-ფაქტურა და სხვ.)

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 499 = (ოთხასოთხმოცდაცხრამეტი) ლარს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების და გადასახადების (დღგ და სხვა.) ჩათვლით.

2.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის/მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

3.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდებას უზრუნველყოფს შემსყიდველი საკუთარი ხარჯებით.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 30 დეკემბერი ჩათვლით უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიწოდება.

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი და მაღალხარისხიანი მომსახურება.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია **შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი"** -ს მომმარაგებელი **აივენგო ხუციშვილი** .

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

6.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ამ უკანასკნელის მიერ საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არა უგვიანეს 30 (ოცდაათი) სამუშაო დღისა.

6.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მიწოდებული ხელშეკრულების ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

-მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული ხელშეკრულების ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

8.5 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის მიმწოდებელს შეიძლება დაეკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების ან შეუსრულებელი ნაწილის 10%-ის ოდენობით იმისდა მიხედვით მთლიანად არის ვალდებულება შეუსრულებელი თუ ნაწილობრივ.

8.6 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ს.

8.7 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრის ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან **2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.**

10. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

10.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

10.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების ობიექტის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მისი შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში აღნიშნული პირები.

13.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული ხელშეკრულების ობიექტის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“	
ს/კოდი: 243123455	ს/კოდი: 211374830
იურ. მის.: წალკის რაიონი, ბედიანი	მის: [illegible] 140
ბანკი: ს.ს. „საქართველოს ბანკი“;	Tel.: 2244646
ბანკის კოდი: BAGAGE22;	ბანკი: [illegible]
ა/ა GE02BG0000000267299600;	ბანკის კოდი: BAGAGE22
	ა/ა GE41BG0000000151758803
გენერალური დირექტორი	
ავთანდილ ვანაძე	

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

97393174570016

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N160241263

რეგისტრაციის თარიღი

15.03.2016 წ

ნოტარიუსი: ლუიზა უმიკაშვილი
მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი #61, პირველი სართული
ტელეფონი: 2 34 59 16

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას თექვსმეტი წლის თხუთმეტ მარტს მე, ნოტარიუსს ლუიზა უმიკაშვილს ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი №61, პირველი სართული, მომმართა ბატონმა **ბადრი ბაბინაშვილმა**, რომელმაც განაცხადა, რომ არის შპს „ალდა"-ს (ს/კ 436038976, იურიდიული მისამართი: საქართველო, მცხეთა, ს. ძეგვი, 44-ე ქ., №45) დირექტორი და სურს მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება.

მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად

ბადრი ბაბინაშვილმა (დაბადებული 28.10.1955წ. ქობულეთში, პირადი №31001019403, ბარათის №13IG88223, გაცემული 15.09.2014წ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ, მოქმედების ვადა 15.09.2024წ. მისამართი: მცხეთა, ს. ძეგვი, 44-ე ქ., №45) მომმართა.

მე შევამოწმე შპს „ალდა"-ს დირექტორის ბადრი ბაბინაშვილის უფლებამოსილება შპს „ალდა"-ს ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან (ამობეჭდილი ვებ გვერდის www.public.reestri.gov.ge მეშვეობით, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B16040049, 15/03/2016 10:41:42, საიდენტიფიკაციო კოდი 436038976).

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა. მე, ნოტარიუსმა ლუიზა უმიკაშვილმა, წინამდებარე მინდობილობა წავუკითხე მას და განვუმარტე მისი შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან წაიკითხა მინდობილობა და მოიწონა იგი, რის შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორი ათას თექვსმეტი წლის თხუთმეტ მარტს მე, ბადრი ბაბინაშვილი, როგორც შპს „ალდა"-ს (საიდენტიფიკაციო კოდი 436038976) დირექტორი, რომელიც შემდგომში წოდებულია „მინდობი",

რუბენ თუშრქაძეს (დაბადებული 08.05.1972წ. თერჯოლაში, პირადი №01013000385, მისამართი: თბილისი, მე-3 მასივი, 6 კვარტალი, კორპუსი 12, ბინა 77), რომელიც შემდგომში წოდებულია „მინდობილი პირი",

უფლებას ვაძლევ წარმოადგინოს შპს „ალდა"-ს ინტერესები ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო და ადმინისტრაციულ ორგანოებთან და დაწესებულებებთან მიმართებაში, აგრეთვე იყოს შპს „ალდა"-ს წარმომადგენელი სს „საქართველოს ბანკ"-ში, „თიბისი ბანკ"-ში, სს „ლიბერთი ბანკ"-ში, სს „კორ სტანდარტ ბანკ"-ში, საქართველოს ტერიტორიაზე ნებისმიერ მოქმედ ბანკში და მათ ნებისმიერ სერვის ცენტრებში, რათა გახსნას, შემდგომში მართოს და განკარგოს შპს „ალდა"-ს სახელზე გახსნილი ნებისმიერი ანგარიშები, აწარმოოს ყველა სახის საბანკო ოპერაციები სავალუტო და სალარე ანგარიშებზე, მიიღოს ნებისმიერი სახის საბანკო მომსახურეობა, გამოიტანოს და შეიტანოს ნებისმიერი თანხა მიუხედავად მისი ოდენობისა, აწარმოოს გადარიცხვები, განაღდება, კონვერტაცია, მოითხოვოს ნებისმიერი ინფორმაცია, მიიღოს ცნობა ანგარიშზე თანხის შესახებ, საბანკო ამონაწერი, ისარგებლოს მობილ ბანკით და ინტერნეტ ბანკინგით, მართოს ინტერნეტ ბანკინგი, შეცვალოს და აღადგინოს ინტერნეტ ბანკინგის პაროლი, დახუროს ან გააუქმოს ანგარიში, საჭიროების შემთხვევაში გახსნას შპს „ალდა"-ს სახელზე ახალი ანგარიში საქართველოს ტერიტორიაზე ნებისმიერ მოქმედ ბანკში და შემდგომში მართოს და განკარგოს, შეუკვეთოს და მიიღოს შპს „ალდა"-ს სახელზე ნებისმიერი სახის საბანკო პლასტიკური ბარათი, იყოს შპს „ალდა"-ს წარმომადგენელი საქართველოს იუსტიციის სახლში, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სანოტარო ბიუროში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში და მის სტრუქტურულ

ქვეგანაყოფებში, რათა შეასრულოს სასაქონლო ოპერაციები და სხვა კომპეტენტურ ორგანოებში, შეიტანოს განცხადებები, მოახდინოს ელექტრონული ვერსიით დეკლარირება, მიიღოს პაროლი, მიიღოს საგადასახადო ანგარიშ- ფაქტურები, შედარების აქტები, ცნობები, ამონაწერი და სხვა დოკუმენტები, ასევე იყოს **შპს „ალდა"-ს** წარმომადგენელი გაფორმების ეკონომიკურ ზონაში – პორტალში და ნებისმიერ საბაჟოზე ტვირთის გაგზავნასთან, მიღებასთან და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით. აწარმოოს მოლაპარაკებები მესამე პირებთან, გააფორმოს კონტრაქტები, დადოს ხელშეკრულებები, აგრეთვე შეასრულოს შეუზღუდავათ ყველა ის უფლება-მოვალეობები, რომლებიც მინიჭებული აქვს დირექტორს წესდებით, საჭიროების შემთხვევაში მოაწეროს ხელი შპს „ალდა"-ს სახელით შესაბამის დოკუმენტებს და შეასრულოს ყველა ის მოქმედება და ფორმალობა, რაც დაკავშირებულია ამ დავალებების შესასრულებლად.

მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე.

მინდობილ პირს უფლება აქვს თავისი შეხედულებისამებრ აღნიშნული მინდობილობა გადასცეს სხვა პირებს.
მიმნდობი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ეს მინდობილობა, რისთვისაც საჭიროა ამ გარიგების სანოტარო წესით გაუქმება; გაუქმების შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე **რუბენ თურქაძე** ვალდებულია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ამ დავალებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოქმედების შესრულება და ამ მინდობილობის მის ხელთ არსებული ეგზემპლიარი დაუბრუნოს მიმნდობს.

მინდობილობა შედგენილია **ოთხ** თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ლუიზა უმიკაშვილის სანოტარო არქივში, ხოლო **სამი** - გადაეცა მხარეს.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური: 10.00 ლარი და რეგისტრაციის საფასური 2.00 ლარი, „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31.7-ე მუხლის და 39-ე მუხლის საფუძველზე.

შპს „ალდა"-ს დირექტორი

ბადრი გაბინაშვილი

ნოტარიუსი **ლუიზა უმიკაშვილი**

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B16040049, 15/03/2016 10:41:42

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს ალდა
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	436038976
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	15/03/2016
მარეგისტრირებელი ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, მცხეთა, ს. ძეგვი, 44-ე ქ., N 45
დამატებითი ინფორმაცია:	
ელ. ფოსტა:	alexgabina@yahoo.com

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - 31001019403, ბადრი გაბინაშვილი

პარტნიორები

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
31001019403, ბადრი გაბინაშვილი	100.000000000%	

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

გირავნობა

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N160252423
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	17.03.2016 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის ასლის დამოწმება
ნოტარიუსი	ლუიზა უმიკაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი #61, პირველი სართული
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2 34 59 16
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	50840197083216

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო

ორი ათას თექვსმეტი წლის ჩვიდმეტ მარტს მე, ნოტარიუსს ლუიზა უმიკაშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი №61, პირველი სართული, მომმართა რუბენ თურძაძემ (დაბადებული 08.05.1972წ. თერჯოლაში, პირადი №01013000385, პირადობის მოწმობის №ა 0539807, გაცემული 26.08.2004წ. თბილისის ისან-სამგორის შს I განყოფილების მიერ, მოქმედების ვადა 08.05.2017წ. მცხოვრები, თბილისი III მას. 6 კვ. კორპ. 12, ბინა 77), რომელმაც წარმოადგინა მინდობილობა (დამოწმებული 15.03.2016წ. ჩემს, ნოტარიუსის ლუიზა უმიკაშვილის მიერ, რეგისტრაციის №160241263, ინდივიდუალური №97393174570016) და მოითხოვა მისი სამი ფოტოასლის თითოეული ხუთ-ხუთ გვერდზე შესაბამისობის დამოწმება, რომელიც არის დედანთან იდენტური. მე შევამოწმე და ვამოწმებ სამი ფოტოასლის თითოეული ხუთ-ხუთ გვერდზე შესატყვისობას დედანთან.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური სამი ეგზემპლიარისათვის თითოეული ხუთ-ხუთ გვერდზე: 7.50 ლარი ,,სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31.5-ე მუხლის საფუძველზე.

ნოტარიუსი ლუიზა უმიკაშვილი